ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 218 ოქტომბერი 14, შაბათი 1889 ოქტომბერი 14, შაბათი № 218

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში ან სახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

## სასწავლებელი და პანსიონი

ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—11)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში ახალი წიგნი:

**ისტორია საქართველოსი**

(უძველესის დროიდამ მე-X საუკ. დასასრულამდე)

თხზულება

დ. ზ. ბაქრაძისა.

ფასი ერთი მანეთი

(5—2)

ქართული თეატრი

სამშაბათს, 17 ოქტომბერს,

ბენეფისი

ვ. ა. აბაშიძისა

ქართულ თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

**ალიაქოთი**

კეთილშობილს ოჯახში

კომედ. 3 მოქმედ.

II

**ბაიყუში**

კომედ. 2 მოქ. ა. ცაგარელისა.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, კახიძისა; ბ-ნნი აბაშიძე, ცაგარელი, გუნია, გედევანოვი, კანდელაკი, რეხელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე

ტფილისი, 13 ოქტომბერი

ეს მესამე წელი წადია თითქმის, რაც ევროპის პოლიტიკა ერთსა და იმავე მდგომარეობაშია: არც წინ იწევს და არც უკან. ცეცხლის წასაკიდი ჩალა-ბულა ბევრია, ერთი დაკვესება, ერთი ნაპერწკალი და ერთი უშველებელი ალი კიდეც ავარდება ევროპაში, სადაც ყველას ამ დღისათვის ხელი ხმლის ვადაზედ უკვე უკიდია. ემზადებიან, ემზადებიან, ამრავლებენ ჯარებს, სცვლიან თოფ-იარაღსა, იგონებენ რაღაც ახალ ტყვია-წამალსა, მილიონებს ჰხარჯვენ, წელებზედ ფეხს იდგმენ, რომ უეცარმა შემთხვევამ მოუმზადებელს არ მოასწროს და ნაცარტუტა არ ადინოს.

უამხანაგოდ, უმომხრეოდ მოედანზედ გამოსვლა ყველას შიშის ზარსა სცემს, რადგანაც იციან, — საქმე იქამდეა გამწარებული და გამწვავებული, რომ მიმდგარა სიკვდილ-სიცოცხლეზედ: ან ერთი მოპირისპირე უნდა იყოს, ან მეორე და ორივე ერთად-კი ძალიან ძნელ მოსანელებელად არის მიჩნეული.

გერმანია, რომელსაც ყველაზედ მეტად ეფიქრება უეცარის შემთხვევის მოვლენა და რომელსაც, ჩვენის ფიქრით, ბევრი გულითადი მეგობარი არა ჰყავს ევროპაში, თუმცა თვალად-კი ბევრი პირში შესცქერის და სულ „ბალი ალას“ ეუბნება, — ეს ძლიერი და ძლევამოსილი გერმანია, დღეს ევროპაში გაბატონებული, სულ იმის ცდასა და თავდარიგშია, რომ სხვისით ზურგი მოიმაგროს და ამით მტერს თვალები დაუყენოს. ამ ცდამ ამაოდ არ ჩაუარა და დღეს ვხედავთ, რომ იტალია და ავსტრია კუდზედა ჰყავს გამობმული. ეს ერთის მხრით. მეორეს მხრით მომჩხრეკის თვალი ჩერდება საფრანგეთზედ, რომელსაც თითქო მეგობარი და მომხრე არსად უჩანს და რომელიც ამასთანავე ისეთი ძლიერი და შემძლებელია ჯერ თავისით და მერე იმ გარემოებით, რომ საფრანგეთის დღეგრძელობა და კარგად ყოფნა ბევრისათვის ევროპაში საკუთარი დღეგრძელობა და კარგად ყოფნაა. ეს გარემოება საფრანგეთის საკუთარ ძლიერებასთან ერთად მოსვენებას არ აძლევს გერმანიას, რომელსაც ეფიქრება, რომ ერთი წაქცევა ფეხისა და ერთად თავის მოყრა მის მტრებისა ერთი იქნება. მაშინ არც დღევანდელ მეგობრების იმედია ბევრი, ნამეტნავად ავსტრიისა, რომელსაც გულში დიდის ხნის ხვანჯი აქვს და რომელსაც არ დაჰვიწყებია, რომ პრუსიამ გამოდევნა და გამოაგდო გერმანიიდამ და პირი ბალკანეთისკენ აქმნევინა.

დიდი იმედი ჰქონდა გერმანიას, რომ ზემოხსენებული გარემოება საფრანგეთს შეეცვლებოდა. ის განხეთქილება, არევ-დარევა და წეწაგლეჯა, რომელიც საფრანგეთის საპოლიტიკო დასთა შორის არსებობს და რომელიც — ცოტა არ იყოს — სახელს უტეხავს საფრანგეთს ევროპაში და უფრთხობს მომხრეებს, ეგონათ ბულანჟეს გამო ისე გაძლიერდებოდა, ისე გადიდდებოდა, რომ თვით ეხლანდელ წეს-წყობილებას პირ-ქვე დაამხობდა და მაშინ შინ გაბზარული, შინ გატეხილი, შინ აწეწილი საფრანგეთი ადვილად მოსარევი იქნებოდა.

ეს ასე არ მოხდა: გონიერებამ საფრანგეთისამ გაიმარჯვა და ის ქარაფშუტა ბულანჟე, ის „მამაცი გენერალი“ დღეს ერთს კუნძულზედ იმალება თავის ქვეყნის გარედ და ვგონებთ სამუდამოდ გამოსალმებულია პოლიტიკის წუთი-სოფელს, როგორც ბევრ ნაირ საქმით შერცხვენილი და აბრუ გატეხილი კაცი. მართალია, რესპუბლიკა დღეს საფრანგეთში გამარჯვებულია და უფრო დამკვიდრებული, ვიდრე აქამომდე იყო, მაგრამ ბულანჟეს მოძღვრების ერთი მუხლი-კი დღესაც ანგარიშ გასაწევია და ამ მუხლს ბევრი მომხრე აღმოუჩნდება საფრანგეთის ახალ პალატაში. ჭირი ეხლანდელ წესწყობილებისა საფრანგეთში ის არის, რომ ხანგრძლივად არც ერთი სამინისტრო არა რჩება და ამის გამო მართვა და გამგეობა ქვეყნის საქმეებისა სასურველად ვერ მიდის. ეს ცვლა მინისტრებისა ისე ხშირია, რომ ერთი მინისტრი ვერ ასწრობს რიგიანად ჩააკვირდეს საქმე, მაშინვე ახალი მინისტრი ურაკუნებს კარს, ნურას უკაცრავოდ, თქვენ ჩამობძანდით სამინისტრო ტახტიდამ და ეხლა მე უნდა დავბძანდეო. ამ ახალსაც ის დღეადგება და ამ სახით ვერც ძველი და ვერც ახალი, ბევრიც რომ შეეძლოთ, ვერას არიგებენ ხოლმე.

ეს ჭირი შენიშნულია და ამის ასაცილებლად დღეს ბევრია საფრანგეთში მონდომილი და, თუ თვით ბულანჟეს ბევრი მომხრე ჰყვანდა რესპუბლიკელთ შორის, უფრო ამ ჭირისაგან იყვნენ იძულებულნი. მიზეზს ამ ჭირისას აბრალებენ დღევანდელ კონსტიტუციას საფრანგეთისას. ამიტომაც მის გადასინჯვას და გადაჩხრეკას შესაცვლელად ბევრი მოწადინებულია. დღეს საფრანგეთში ის აზრი ტრიალებს, რომ კონსტიტუცია უნდა გადაიჩხრიკოს და სამინისტრო ცოტად თუ ბევრად დამოუკიდებელი გაჰხადონ პალატისაგან, სადაც ხშირად შემთხვევით შემდგარი უმეტესობა იძულებულ ჰყოფს ხოლმე სამინისტროს სამსახურიდამ გადადგეს. მართალია, დღევანდელს პალატაში ამ კონსტიტუციის გადაჩხრეკას ბევრი ეურჩება, მაგრამ არც გადაჩხრეკის მსურველნი არიან ცოტანი. რა თქმა უნდა, საფრანგეთს ძალიან მოუხდებოდა, ნამეტნავად დღევანდელს დღეს, რომ დადგრომილება რამ მიენიჭოს მის სამინისტროს და შემთხვევას არ ექვემდებარებოდეს, მაგრამ როგორ უნდა მოხერხდეს ეს უიმისოდ, რომ პარლამენტალური წესი არ შეირყას? სადაც პარლამენტია, იქ უსათუოდ მისი უმეტესობა უნდა აძლევდეს ფერსა და

## ფელეტონი

### სპილო და ფინია

სპილოს ერთხელ საჩვენებლად
ქუჩა-ქუჩა ატარებდნენ,
ამ საკვირველ სანახავით
მაყურებელს ახარებდნენ.

—

ახლოს ვერვინ მიეკარა,
ყველა ასე შეაშინა,
მაგრამ უცბად საიდგანღაც
გამოუხტა ერთი ფინა.

—

გადიგრიხა კუდი, შეხტა,
გაწიწმატდა და გამწარდა;
შეუღრინა, შეუყეფა,
მაგრამ ზედ-კი ვერ მივარდა.

—

გოშამ უთხრა: „რას მასხარობ!..
უნდა გითხრა, მებრალები...
ვერ ჰხედავ, რომ ყურს არ გიგდებს?
და ტყულა რად იღალები!“

—

უპასუხა: „მეც-კი ვხედავ,
რომ არ მაქცევს ყურადღებას,
თვარა, ეს რომ არ ვიცოდე,
გავბედავდი განა ყეფას?!.

—

„რა მაკლდება, შორი-ახლოს
ასე ყეფით რომ მივსდიო?
ვინც შემხედავს, ასე იტყვის:
მარჯვეა და გულადიო!“

აკაკი

### ხალხური ლექსები

(ქართლში შეკრებილი ეფრემ მაისურაძისაგან)

ამხანაგმა მიღალატა,
მარტო წაველი ტყეშია;
წინ ტახი შემომეყარა,
ყომრალი იყო, რეშია.
თოფს წამალი მივუმატე,
კვანდახს ვაკოცე ღმერთშია;
დავუჩოქე და ვესროლე,
მოვარტყი ბეჭის ფრთებშია.
ერთი იმანაც გამომკრა
ამ ორთავ ბარძაყებშია;
დავჯექ და შევიხვიეე,
როგორც რიგი და წესია.
ისე ამოველ აღმართსა,
ერთიც არ დამიხვნეშია.

—

ძმაო, გაქო, რაღა გაქო,
მკლავში დევის ღონე გაქო;
იარაღი მოგიხდება,
თოფი შევერცხლილი გაქო;
მუხლზედ ნაკეცი ქოჩორი,
თვალი შავარდნისა გაქო.

—

ახლანდელი პატარძლები
სახლსაც არ დაგვიგვიანო,
გაუჩნდებათ თითო ბავშვი,
ტუტუნით გაგვიზრდიანო.

—

ასე უნდა კაი ქალსა:
დილაზე ადრე ადგესო,
ადრე წყალი მოიტანოს,
სანამ ნახირი დადგესო;
ჯამ-ჭურჭელი ჩამორეცხოს,
თაროს ნათელი ადგესო;
გუთანზედ ჯერი წაიღოს,
სანამ ზარმაცი ადგესო.

—

ვაი რა ღროს მოვესწარი
რძალ-დედამთილის ბრძოლასა:
რძალმა აჯობა დედამთილს,
თავი უხალა კერასა.

—

ჩემი ძმა გადამეკიდა:
ბიჭო, შეირთე ცოლიო;
მთიულის ქალი მითხოვა,
ბრიყვი და გაუზრდელიო.
მოსაყვანად რომ გიახელ,
ღმერთო, კეთილი ჰქენიო;
უზანგზედ რომ ფეხი შედგა,
ცხენს მომიწყვიტა წელიო;
სამი სარტყელი გაწყვიტა,
მეოთხე — ქიაფერიო;
ბეჭები დიდი ჰქონია,
გოგროხას უგავს წელიო;
მამაჩემი გამილახა,
დედაჩემს მიჰყო ხელიო;
ერთიც მე შემომიტია,
მაშინ დავკარგე ფერიო;
მაშინდელს შეშინებულსა,
დღესაც არა მაქვს ფერიო.

—

ჩვენს ნუფეს გაუმარჯვენია
მაზალეთისა ტბაზედა;
მოუკლავს ხარი ირემი,
ფურსა მიზდევდა კვალზედა;
ის თავის ნაომარები
ზედ დეეწერა რქაზედა.

—

ღვთისგან ნაკურთხსა ჩვენს ხმასა
რა რიგათ გააქვს გრიალი!
საითაც წავდექ-წამოვდექ,
ჩვენს ხმალს გაჰქონდა ხრიალი.
ბლომად ლეკები დავხოცეთ,
სულ ფარიანი, ჯვრიანი.
ბიჭებო, ბანი მითხარით,
სიმღერაცა ვსთქვათ მხრიანი.

—

ქალაქისთანა ქადები
არ არის ქვეყანაზედა,
დამწკრივებულან სუფრაზედ,
როგორც ვარსკვლავი ცაზედა.

—

რასა დამძახი, გუგულო,
უზმოსა, უსადილოსა?
მაშინ დამძახე, გუგულო,
ყანა რომ დავაგუგუნო.

—

შენი გამჩენის ჭირიმე,
შენის დავარცხნილის თმისა;
რა დროს შენი ქორწილია,
არ იქნები ოცის წლისა.

მიმართულებას საქმეთა მსვლელობას, რადგანაც პარლამენტი ქვეყნის წარმომადგენელია და მისი უმეტესობა ქვეყნის უმეტესობაა.

როგორ მოახერხებს საფრანგეთის პალატა ამ საქმეს, რომელიც თხოულობს, რომ არც მწვადი დაიწვას, არც შამფური, ამას დრო გამოაჩენს.

ეხლა-კი ამას ვიტყვით, რომ ეხლანდელმა ახლად ამორჩეულმა პალატამ დღეს იქნება თუ ხვალ ანგარიში უნდა გაუწიოს ამ მძიმე საგანს. ერთი უდიდესი და უძლიერესი სატკივარი საფრანგეთისა, ჩვენის ფიქრით, ეს საგანია დღეს. მართალია, ეს საგანი იმისთანა არ არის, რომ დააუძლუროს საფრანგეთი და გაძლიერების შემძლებელი-კია, თუ ამ მხრით საფრანგეთმა თავს როგორმე უშველა და შინ ზურგი გაიმაგრა გარედ ხელის გაშლისათვის.

ამასობაში გერმანიის პოლიტიკა თავისას არ იშლის და მომხრეების ძებნაშია. არა ჰკმარობს იტალიას და ავსტრიას. ინგლისის ჩათრევაც უნდოდა, მაგრამ, ვგონებთ, აქ ცარიელის ტკბილ-ტკბილ და თბილ-თბილ სიტყვების მეტი ბევრი არა ინუგეშა-რა. ეხლა გურგური დაუწყო ოსმალეთს. გერმანიის იმპერატორი ეწვევა სულთანს სტამბოლში და თუმცა ამბობენ, აქ საპოლიტიკო აზრი არა არის-რაო, მაგრამ უიმისობა არ იქნება. მარტო ერთი ეს არის საკითხი: რად უნდა გერმანიას ამდენი მომხრენი? ამით ჰმართლულობს თავს გერმანია, რომ რაკი ერთი მხარე მეტად ძლიერი იქნება მეორეზედ, ეს მეორე ომს ველარ ასტეხს შიშითაო და ევროპა მშვიდობიანად იქნება, რადგანაც მე სრულად ომი არა მსურსო. მართლა-კი არა ჰსურს ომი, თუ მაშინ უნდა დაიქუხოს, როცა ზურგს კარგად გაიმაგრებს მომხრეებით? ჩვენ ეს უკანასკნელი გვგონია, იმიტომ-რომ გერმანია უომრად ვერ გადაურჩება იმ მდგომარეობას, რაშიაც დღეს იმყოფება: ორისავე მხრით შიშს ქვეშ მუდამ ყოფნა აუტანელია.

## ახალი ამბავი

*** სასულიერო მთავრობა ჰფიქრობს ცალკე კურსები დააარსოს მასწავლებლების მოსამზადებლად საეკლესიო-სამრევლო სკოლებისათვის. კურსებზე ერთის წლის განმავლობაში მოამზადებენ ყმაწვილებს მასწავლებლობისათვის. ამ ნაირი კურსები ორი იქნება დაარსებული: ერთი ტფილისში და მეორე ქუთაისში.

*** ნაფიცს ვექილს ა. ყარაბეგოვს დაუბეჭდია პეტერბურგში პატარა რუსული წიგნი: „Реформа судебныхъ уставовъ въ связи съ современнымъ состоянiемъ правосудiя“. ამ წიგნში მეტად უმართებულოდ არის თურმე მოხსენებული სამოსამართლო დაწესებულებანი ამიერ-კავკასიისა და თვით აქაურნი მოსამართლენიც. უმართებულოა ლაპარაკი, აგრეთვე წიგნში უმართებულესის სენატის შესახებაც-კიო. ამაზე საქმე შემდგარა და ყარაბეგოვი სამართალში მიუციათ დიფამაციისათვის.

*** დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე, ბ-ნი ციონგლინსკი ილაპარაკებს გამოფენაზე არაყის ხდის მნიშვნელობის შესახებ ჩვენს ქვეყანაში და განმარტავს, როგორ მოქმედობს ამ საქმეზე არაყის ხდისთვის დაწესებული ბაჟი.

*** გამოფენაზე უკვე დაუწყიათ გასყიდვა გამოფენილის ყველისა და ერბოსი.

*** ხუთშაბათს, 12 ოქტომბერს, ფორკატის საოპერეტო დასმა წარმოადგინა სამ-მოქმედებიანი ზამარის კომიკური ოპერა „პალერმოელი მომღერალი ჯენარო სპავალდო“. მშვენიერად შეასრულეს თავისი როლები ქ-ნებმა ტროცკაიამ და მილიუტინისამ და ბ-ნებმა ლოდიმ, ბიაზიმ, მეიერსონმა და ფატეევმა. ხალხი მაგდენად ბევრი არ დაესწრო და არც საკვირველია, რადგან ეს მშვენიერი ოპერეტი გუშინ მეოთხედ წარმოადგინეს და თითქმის ყველას ნანახი ჰქონდა. ამ ხანებში იუბილეის დღე უდგება გამოჩენილს მაესტროს ა. გრუბინშტეინს. ბ-ნს ფორკატისაც განუზრახავს ამ დღესასწაულის გადახდა და მიუმართავს კიდეც თხოვნით ბ-ნ რუბინშტეინისათვის. ამ კომპოზიტორს აქვს თურმე საკუთარი კომიკური ოპერა „თუთიყუში“, ჯერ სრულიად უცნობი რუსების საზოგადოებისათვის, და აი, ფორკატის ეს ოპერა უთხოვნია წარმოსადგენად საიუბილეიო დღისთვის, მოსვლია კიდეც და ახლა განზრახვა აქვს ახალი ტანისამოსი შეაკერვინოს და ახალი დეკორაციები დაახატვინოს.

*** წელს სათავად-აზნაურო სკოლიდგან გადავიდნენ სხვა-და-სხვა სასწავლებელში: ა) კლასიკურ გიმნაზიის მე-4 კლასში გადავიდა გომართელი და ნიჟარაძე; მე-3 კლასში—რცხილაძე, მაყაშვილი, თაქთაქიშვილი, გვერწითელი და ნიჟარაძე; მე-2 კლასში—ყაჩაველი; 1-ლ კლასში—სავანელი, ყანჩაველი და ფირალიშვილი; მოსამზადებელს კლასში—ძიძიგური (უფრ. განყოფ.) და ნატროშვილი (უმცრ. განყოფ.). ბ) რეალურ სასწავლებლის 1-ლ კლასში—ხუნდაძე. გ) საქალაქო სასწავლებელში მეხუთე განყოფილებაში—ბერიძე, ბაქრაძე და ყულუმაშვილი; მესამე განყოფილებაში—ხატიშვილი და კობახიძე; მეორე განყოფილებაში—თურქესტნიშვილი, მურვანიშვილი, კიპრიზოვი, ეგაძე და ციციშვილი. დ) გორის საოსტატო სემინარიის მოსამზადებელს კლასში—საყვარელიძე. ე) სასულიერო სასწავლებელში—ნახუცრიშვილი (მე-2 კლასში) და ჯავროვი (მე-3 განყოფ.). სულ სხვა-და-სხვა სასწავლებელში იქმნა მიღებული 27 ყმაწვილი.

*** მოჭიდავეს ნ. ესებუას ცალკე საჭიდაო გაუმართავს მუშტაიდს ახლო ბაღში. ამ ბაღს ჰქვიან „სამეგრელოს ბაღი“ და იმყოფება ობსერვატორიის პირდაპირ, მიხეილის ქუჩაზე. აი აქ აპირობს გლდანელის ძლიერი მოპირისპირე ფალავანი ჰმართოს ყოველ კვირა ჭიდაობა და გართოს ჩვენი საზოგადოება, რომელიც ისეთის ხალისითა და სიამოვნებით ეტანება ამისთანა საერო გართობას. ნ. ესებუა, სხვათა შორის, ხვალ შუადღის უკანაც აპირობს ჭიდაობას.

*** ხაშური; 9 ოქტომბერს გაქურდეს ხაშურში ხუთი კონდუქტორი და ერთიც ჟანდარმად ნამყოფი, გვარად მიხაილოვი.

*** აზნაურმა კონსტანტინე ყავრიაშვილმა გამოაცხადა პოლიციაში, რომ 11 ოქტომბრის ღამეს ჩემის საკუთარის სახლის შესავალ ოთახიდგან, პოლიციის მე-2 ნაწილში, ლაბორატორიის ქუჩაზედ, გაიტანეს ორი ხალიჩა, ორი ფარაჟა, ჩერქესკა, კაბა და პალტო, სულ 150 მანეთისა. ქურდები არ ვიცი ვინ უნდა ყოფილიყვნენო. გამოძიება სწარმოებს.

## გუთნების გამოცდა გამოფენაზე

### 9 ოქტომბერს.

წარსულს ორშაბათს, ე. ი. 9 ოქტომბერს, დილიდგან დაწყებული თითქმის მთელს დღეს ექსპერტები მოუნდნენ გუთნების გასინჯვას. გამოცდაზე ბევრი გარეშე ხალხიც დაესწრო, ნამეტნავად ქართველობა. ერთ-ორიოდე მალაკანს თვითვე მოეტანათ თავ-თავიანთი გუთნები საცდელა, იყვნენ აგრეთვე გერმანელებიც კალონიიდგან. შესანიშნავი ის არის, რომ არც ერთის მემამულის ხსენება არა ყოფილა ჩვენის მხრიდგან, ე. ი. სომხთა და თათართა ქვეყნებიდგან. მთელ კახეთიდამაც იყო მხოლოდ ერთი თ. ზ. ჭ მე რასაკვირველია ესეც როგორც ცნობის-მოყვარე და არა მიწის მუშაკი. მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ მთელი ერთი საათი სხვებთან ერთად სდია იმან ხან ერთს გუთანს, ხან მეორეს, ხან მესამეს, და ბოლოს სთქვა: ვნახე ეგ გუთნები და ახლა უფრო დავრწმუნდი, რომ ჩვენი ქართული გუთნები უკეთესია ყველაზედაო. მართლაც-და ვინც იმ დღეს იქ იყო, ყველამ აშკარად დაინახა, რომ ეს ჩვენებური „ადამის ჟამის“ გუთანი ისე სასაცილო არ არის, როგორც მეტ ნაწილს ჩვენის მოწინავე საზოგადოებისას ჰგონია, ნამეტნავად კიდევ მოსულს ხალხს, რომელსაც სასაცილოდ არა ჰყოფნის ჩვენებური მამაპაპური გუთანი ბარე რვა-ცხრა მეტი იყო ევროპიული გუთანი, მაგრამ ერთმაც ვერ უწია ძირს ნაგოლვს მიწას, და ზედა პირი ხომ წინა დღის ავდრით იყო დამბალი. თუ აღარ დაგიშლიათ, ისევ ვარანცოვველ მალაკნების გამოგონილმა გუთანმა მიიზიდა საზოგადოების ყურადღება, ნამეტნავად გ. ტრეტიაკოვისამ. ეს გუთნები იგივე ვეინეს სისტემის გუთნებია, ცოტა რამ ცვლილებით. ღრმადაცა ჰხნავდნენ, კვალიც საკმაოდ განიერი მიჰქონდათ და სუფთადაც იღებდნენ. ეს ღირსება ხომ ქართულს გუთანსაც უცილოდ აქვს. მაშასადამე, ერთი რამ ისეთი ღირსება უნდა ჰქონდეთ ახლებს, რომელსაც ქართული გუთანი მოკლებულია. მალა იგივე მოუნდა, რაც ქართულს, ფასია-და, 56 მანეთიო. ამ ფულით ხომ ქართულს გუთანს კაცი ბარე ორს შეიძენს და, თუ გაუტყდება, იმას მაინც თავის ხელითვე გააკეთებს. ერთის სიტყვით, ეს გარემოება არა კმარა, რომ შეჩვეულსა და გამოცდილს თავი დავანებოთ და უცხოებს გამოვუდგეთ. ვეინეს გუთანი საუკეთესო გამოდგა ამ სამი-ოთხის წლის წინად, როდესაც დიდუბეში იყო გუთნების გამოცდა. ხალხშიაც, ქართველობაში, ბევრი გაიტანეს და ერთ-ხმად ყველა იმას გაიძახის, რომ ვეინეს გუთანი ყველა ევროპის გუთანს სჯობიაო, მაგრამ მაინც არა ღირს, რომ ქართული გუთანი გავნაცვალოთო. 1 და 2 №№ პატარეებია და მესამეს ხომ ქართულზედ ნაკლები ხარი არ უნდა და ეს 48 მანეთი რაღად მივსცეთო. ქართულს გუთანს მართლა და ერთი თვალ-საჩინო ნაკლი აქვს: ბელტი რომ გადააქვს, ვერა ჰფშვნის ფრთა, გობებად რჩება და ამ მოსფერას იმდენი ზედმოქმედება აღარა აქვს, რაც ფხვნილს მიწაზედაო. ნამეტნავად კიდევ ნაყანობარისთვის და ნასიმინდარისთვის ევროპიული გუთნები ბევრითა სჯობია, თუ არ მოვერიდებით ამოუწმენდელს კვალს, რომელშიაც სიარული გუთნის ხარს ისე ეწვალება. ამბობენ, რომ ნასიმინდარისთვის ძრიელ კარგია ოთხ-სახნისიანი ევროპიული გუთანიო, მაგრამ ამაზედ დაბეჯითებით ვერას ვიტყვი, რადგან იმ გვარ გუთნების გამოცდა წინა დღეს ყოფილიყო რბილს მიწაზედ და მე თითონ არ დავესწრებივარ. თურმე კვალი მთელის არშინის სიგანეთ მიაქვს და უეჭველია ბარაქასაც დასდებს. არა, ვინ იტყვის, ჩვენი გუთანი შეუდარებელია ყველაფერშიო: ზოგია ევროპიული გუთანი, რბილში ძრიელ კარგი სახმარია, ზოგი—ფერდობში, ზოგი—გაკვზედ, მაგრამ ვის შეუძლიან იქონიოს რამდენიმე ჯური, და თუნდა გქონდეთ კიდეც, რომელი ერთი ატაროთ მინდორში, რომ შეუფარდოთ მდებარეობას, ნამეტნავად კიდევ თუ მინდორი შორს არის და გუთნები თითვიდგან თოვლამდის იქ უყრიათ.

ამბობენ, სანსომის გუთანი შეუდარებელია ყველაფერშიო, მაგრამ ის გუთანი ჩვენ ხვნაში არ გვინახავს. არც ერთს მხარეს იმდენი ევროპიული გუთნები არ წასულა ტფილისიდგან, რამდენიც ივრის ხეობაზედ. ერთი-ორი წლიწადი საშინლად გახშირდა ხალხში გუთანი ვენესი, საკისა, სამსომ და სიმსისა, ბოლგარიული, და კიდევ რამდენიმე სხვა სისტემისა, ქართული გუთნები ბევრი აღარ იყო ხმარებაში, მაგრამ გავიდა ხანი და ხელ-ახლად აღრიცეს ზურგი. უეჭველია, ერთ ორს წლიწადს უკან, რაკი ისინი გაცვდება, მკვლებურად თითით საჩვენებლები იქნება. ეტყობა, ერთი დღე და თითქმის ერთი ალოც კი საკმარისი არა ყოფილა, რომ გაიგოს მხვნელ-მთესველმა გუთნის ვითარება, თორემ მერწმუნეთ თავისის თავის მტერი არავინ არის და არც ისეთი რეგვენი, რომ ნანახი კარგი ვერ გაარჩიოს ავისაგან.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ქართლი, ოქტომბრის 5. ქართლის თითქმის ყველა კუთხიდგან ისმის სამწუხარო ამბები ქურდობის გავრცელების თაობაზედ. ამ სამარცხვინო ხელობამ, ყველასათვის შემაწუხებელმა და საშიშარმა სენმა, ლამის საგრძნობლად იჩინოს ჩვენში თავი; მყუდრო და მოსვენებული ცხოვრება ლამის შეგვირყიოს, აღგვიშფოთოს და დაგვიფრთხოს! აქ რომ ცხენი, ან ძროხა დაიკარგა, იქ რომ ღვინო მოიპარეს, ან დუქანი გატეხეს და ცოტაოდენი რამე გაიტანეს, ან სხვა ამ გვარი წვრილმანი ქურდობა მოხდა, ეს კიდევ არ არის, ვსთქვათ, ისე საგრძნობელი და საშიში, ეს კიდევ არ არის უეჭველი საბუთი ქურდობა-ავაზაკობის გავრცელებისა, გახშირებისა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ წვრილმანებს თან „მსხვილმანებიც“ მოჰყვება, ამ გვარ მცირე „ხელმრუდობით“ წათამამებულ ღამის რაინდები ხვალ მეტს მოინდომებენ, პირველი მარჯვედ გადადგმული ნაბიჯი გაბედულობას, ხალისს მოუმატებს ამ არა წმინდა ხელობის მიმყოლთ და ბოლოს, რაკი ფრთა შეესხმით, მტრის კარს იმათი ფეხი, თუ ეხლავე კვალში არ ჩაუდექით ამ «ხელ-მრუდობით» ფათურს და «ფეხ-მრუდობით»; სიარულს თუ ერთსა და ორს შერჩათ, შემდეგ ძნელი იქნება მაგრად ხელ-ჩაჭიდებულისა და ფეხ-მოკიდებულის სენის აღმოფხვრა. ამისათვის საჭიროა მცირე ქურდობასაც-კი სასტიკად მოექცეს მთავრობაცა და ხალხიც.

ამ დღეებში დასახელებული იყო „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში მეჯვრისხევში ჩადენილი ქურდობანი. იმას დავუმატოთ კიდევ, რომ გლეხს გ. სარაულს მოჰპარეს დაკეტილ საბძლიდგან ცხენი; ახალქალაქიდგან მოსულს ორ მათხოვარს მოჰპარეს ცხენი და საწყალი ფეხებ-დაჭრილი გლახაკი, რომელსაც ნახევარი საათი არ შეუძლია ხის ფეხებით იაროს, უცხენოდ დასტოვეს. როცა იმის თანამხლებელმა დაუწყო ცხენს ძებნა, ეილაცეებმა უთხრეს: ჩვენ გაპოვნინებთო, წაიყვანეს უდაბურ ადგილას და ორ თუმნამდე ფული, თითო-ოროლა გროშობით მოგროვებული, წაართვეს და გამოისტუმრეს ხელ-ცარიელი.

სხვაც რამდენი შეგვეძლია ჩამოვთვალოთ ამ გვარი ქურდობა, მაგრამ ყოველივე ესე არაფერია იმასთან შედარებით, რაც მოხდა მეჯვრისხევს სულის-წმინდის მოფენის დღეს, ანუ უსანეთობას. იმ დღეს აქაურს თ. გ. ერისთავს, როცა ის თავის სახლობით მიწვეული იყო სადილად თავის მეზობელ თავადთან, ღამის 10—11 საათზედ შეუცვივდნენ სახლში ქურდები და, რაც რამ მოეპოვებოდათ, ლოგინიდგან დაწყებული ტანისამოსამდე, სულ ერთიან გაალაგეს. ამ საქმემ დიდი გამოძიება გამოიწვია. ბოქაული, გამომძიებელი, სოფლის მოხელენი და თვით დაზარალებული დიდს საცადელს ეცადნენ, მაგრამ ჯერ ქურდების „ასავალ-დასავალიც“ ვერ გაიგეს. თვით მაზრის უფროსიც იყო აქ ამ საქმის თაობაზედ და საზოგადოებას გამოუცხადა: ან იპოვნეთ ქურდი, ან თქვენ გადაგხდებათ დანაკარგიო. დანაკარგის ფასს ორას თუმნამდე ასახელებენ. მაინც არ იქნა და ქურდი არ აღმოჩნდა. ან საიდგან აღმოჩნდება, როცა აქაურები არ არიან ამისთანა ხელობის მიმყოლნი: სხვა სოფლებიდგან არიან შემოჩვეულნი და შემოჩენილნი.

ამ ოქტომბრის პირველ რიცხვებში სოფ. ბენდერში მოხდა შემდეგი საცოდაობა. 70 წლის ოსმა (გვარს ვერ მოვკარი ყური) სიმთვრალის დროს თავში დასჭრა მძიმედ თავისი ზედ-სიძე, ერთად-ერთის ქალის ახალგაზდა ქმარი. საბრალომ ექვსი დღე იცოცხლა და საშინელის ტანჯვით განუტევა სული ამ თვეის 6—7. მკვლელი გამომძიებელმა დააჭერინა და დღეს საპატიმროშია დამწყვდეული.

ამ თვეშივე სოფელს კირბალში შემდეგი უბედურება დატრიალებულა: აქაური გლეხი პაპანაშვილი ურმით ვენახში პატივს ჰზიდავდა. იმისი 5—6 წლის ვაჟიშვილი ურემზედ მჯდარა, უცბად გადმოვარდნილა, გადაუვლია ურემს მუცელზედ და სულ დაუღეწია საცოდავი. საბრალო ბავშვს მეორე დღემდე ძლივს უცოცხლია.

W.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ. წელს იმერეთსა და საზოგადოდ მთელს საქართველოს ეწვია საშინელი უბედურება. ეს უბედურება გახლავთ ფილოქსერა, რომელიც უკვე რამდენსამე ადგილას აღმოაჩინეს. ფილოქსერა არა თუ ამისთანა ქვეყანაში, სადაც ყოველი ჭირი ღვთის მოვლენილი ჰგონიათ, არამედ თვით საფრანგეთშიაც დიდი უბედურებაა. იქ კიდევ ყოველ კაცს ცოტად თუ ბევრად ესმის, რა არის რომელიმე ავადმყოფობა, იქ უკეთესნი მეცნიერნი სცდილობენ, რომ რომელისამე ახლად მოვლენილისა, თუ ძველის სენის წინააღმდეგ აღმოაჩინონ რამე წამალი. ჩვენში-კი არც მეცნიერნი მოგვეძებნებიან და ვერც ხალხს დააჯერებ, რომ, ვსთქვათ, ვენახს რაიმე ექიმობა გაეწყობოდეს. განა ახალი საქმეა, რაც ნაცრის ექიმობა აღმოაჩინეს? განა ძნელი საშოვნია ამისი წამალი და ან ძნელია ექიმობა? სრულიადაც არა, მაგრამ იმერეთში ეგებ ორგან და სამგან ძლივს შეხვდეთ ისეთს ვენახის პატრონს, რომ ნაცარს ებრძოდეს წამლებით. განა მილდიუს ექიმობა-კი ძნელია? სრულიად არა, მაგრამ ამ ექიმობასაც ვერ შეხვდებით ჩვენში ბევრგან. ამ წამლობაზე რომ ლაპარაკი ჩამოაგდოთ გლეხ-კაცობაში, ასე გიპასუხებენ: „ვენახის მკურნალი ღმერთიაო, ვენახი-კი არა, კაცისათვის ვერ გვიაქიმებიაო; რაც გვემართება, ჩვენის ცოდვის ბრალიაო" და სხ...

ჩვენ თუ ყური მოვიყრუეთ და საქმეს ხელი არ მოვკიდეთ, შენი მტერია, ჩვენ საქმე დაგვადგება. ეს ერთად-ერთი სახსარი ცხოვრებისა—ღვინო მოგვესპობა და ჩაცვივდებით გამოუთქმელს გაჭირებაში.

მართალია სამეგრელოში ვენახი მოისპო, მაგრამ, იმის ნაცვლად, მიწა ნოყიერია და ბლომად სიმინდი მოჰყავს. ამ სიმინდს ჰყიდის ხალხი და იოლად მიდის ჭირსა თუ ლხინში. ჩვენში? ჩვენში, განსაკუთრებით ზემო იმერეთში და რაჭაში, ისეთი ნიადაგია, რომ სიმინდი დიდის შრომით ძლივ-ძლივას შეიძლება წლის სარჩო მოიყვანოს კაცმა. ვსთქვათ, ვენახი მოისპო, რა ეშველება ამ ხალხს? არაფერი. იძულებულ იქმნება მიატოვოს ამოდენა მშვენიერი ადგილები და გარდაიხვეწოს იქ, სადაც ცოტა უკეთ ცხოვრება შეიძლება მცირე გარჯითა და მეურნეობის უცოდნელად. ან არადა უნდა დალატაკდნენ და დაიმშივნენ.

მართალია, წელს ვენახები დაათვალიერეს აგრონომებმა, მაგრამ ეს დიდს არაფერს იმედს გვპირდება. ამ „აგრონომების" მოსვლისა და ვენახების წამლობის შესახებ ათას ნაირი ხმები დადის სოფელ-სოფელ. აგრონომებს „მეურმეებს" ეძახიან. ამითი ექიმობა ტყუილი ყოფილაო, იძახიან კვლავ სოფლებში: ამას გარდა მავნებელიც არისო. ერთს უექიმებია ვენახისათვის და ვენახს არას მოხდენია; სამაგიეროდ, რამდენი ქათამიც ჩასულა ვენახში და ფოთოლი დაუკენკია, სუყველა დახოცილაო. ზოგი იძახის: „ნაექიმარ ვენახში ვერ გაივლი, ისე ყარს გოგირდის სუნითაო". ერთის სიტყვით, ექიმობისა არა სწამს-რა ხალხს.

ძრიელ საჭირო და სასარგებლოა ყურადღება მიაქციოს სამეურნეო საზოგადოებამ ვენახის ექიმობას, გამოჰგზავნოს ერთი ან ორი მცოდნე კაცი იმერეთში ზაფხულობით და თითო სამამასახლისოში ორგან ან სამგან მუქთად აექიმებინოს ვენახებისთვის ხალხის დასარწმუნებლად, რათა შემდეგისთვის თითონ ხალხმა იზრუნოს და უშველოს როგორმე თავს. ამით ცრუ-მორწმუნოებაც მალე მოისპობა და სარგებლობაც დიდი მიეცემა ქვეყანას.

ანთიმოზი

---

## ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ.

ყველგან ძნელია, და მეტადრე ჩვენში, რაიმე დიდის სასწავლებლის დაფუძნება, მაგრამ ეს საბუთს არ გვაძლევს თვალები აეიხვიოთ და არ გავჩხრიკოთ, რაოდენი სარგებლობა მოაქვს ამ დაწესებულებას ჩვენში ხალხისათვის.

თითქმის ამ გვარი ყოველი საქმე, როგორც დიდის სასწავლებლის დაწესება, ყოველთვის კეთილის განზრახვით იწყება და, თუ დრო გაივლის და გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სხვა ნაირად საქმის წაყვანა უფრო მიაღწევს უმთავრეს დანიშნულებას, მაშინ უნდა მივდიოთ დროს კვალდა-კვალ და ისე მოვაწყოთ საქმე, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოიტანოს ამ დაწესებულებამ.

მე მინდა ორიოდე სიტყვა მოვახსენო მკითხველებს ჩვენს ქალაქში დაწესებულ ამ თექვსმეტის წლის წინად საბებიო ინსტიტუტის შესახებ. ამ თექვსმეტს წელიწადში ფული კარგა ბლომად დახარჯულა ამ სასწავლებლისათვის და ყოველ წლივ თითქმის თხუთმეტამდის ბებია ათავებს სწავლას. ერთი თვალი გადავავლოთ, თუ სად მოღვაწეობენ ეს ქალები და ან ცოტაოდენი სარგებლობაც არის მოაქვთ ხალხისთვის, თუ არა?

უმეტესი ნაწილი კურს-შესრულებულ ბებიებისა რჩება აქვე, ტფილისში, გარდა იმ ზოგიერთებისა, რომელნიც იგზავნებიან კავკასიის სხვა-და-სხვა მაზრაში. იმათ გამრავლებას ტფილისში ცუდი შედეგი მოაქვს: ძველი ბებიები, უფრო გამოცდილები, ახლებს გზას არ აძლევენ და ესენიც ხშირად ლუკმა-პურის მოსაპოვებლად უადვილებენ ქალებს თავიანთის დედობრიულის მოვალეობის აცდენას და ამ გვარად ახშირებენ დედაკაცურს ავადმყოფობას. რაც შეეხება იმ ბებიებს, რომელნიც მაზრის ბებიებად ინიშნებიან, უნდა გამოტეხილი ვსთქვათ, რომ იმათ სრულებით ტყუილ უბრალოდ ეძლევათ ჯამაგირი და დაბალის ხალხისათვის გამოსადეგნი არ არიან. ვეცდები საბუთებით დაგიმტკიცოთ ეს.

რომ ჩვენი ხალხი ისევ აღრინდელ მდგომარეობაშია, ისევ ყოველ სოფელში ძველებურად ბებია დედაკაცები უფლობენ და ფარფაშობენ, ამას ყველა კარგად ჰხედავს. სისუფთავეს, რომელიც შეადგენს უპირველესს საჭიროებას მშობიარობის დროს, ესენი სრულიად საჭიროდ არა სთვლიან. ეს ბებიები ისევ იმ აზრისანი არიან, რომ მშობიარეს შველი უამისოდ ვერ დაებადება და, აღრინდელიყვით, მივლენ თუ არა მშობიარესთან, მოუყვებიან წვალებას: სცემენ ბეჭებში და წელზედ, უზელავენ მუცელს, აქანავებენ, სანამ უდროოდ არ აშობინებენ, ან ისეთს რამე უბედურებას არ დაატეხენ, რომ შველითაც-კი ვეღარავინ უშველის. თუ შობის დროს ყმაწვილი წესიერად არ მოდის, მაშინ-კი მხოლოდ განგება თუ დაიფარავს მშობიარეს: ბავშვს ხან ხელით სწევენ, ხან ფეხს მოაგლეჯენ და ბოლოს, თუ ამითაც ვერა გააწყეს-რა, მეცხვარეს მიიშველიებენ. ის აზრი ჯერ კიდევ ჰსუფევს, რომ მეცხვარემ, როგორც ხშირად მნახველმა ცხვარში დოლის დაძერისამ, უთუოდ კარგად უნდა იცოდეს მშობიარის მდგომარეობაო. მე-კი მგონია, მეცხვარეს იმიტომ იშველიებენ ბებიები, რომ თავიდამ აიცილონ ძნელად გასაბედი ყმაწვილის გამოჭრა მუცელში.

იმდენი დავიდარაბა და ხარჯი უნდება სოფლელს ნასწავლის ბებიის დასაბარებლად თავიანთ მაზრის ქალაქიდამ, რომ, თუ არ შეძლებული კაცი, გუნებაშიაც ვერ გაიტარებს და უმეტესი ნაწილი მდაბიო და შეუძლებელი ხალხი მხოლოდ მომაკვდავ მშობიარისთვის თუ გადასდგამს ფეხს ბებიის მოსაყვანად, მაგრამ ეაი იმ მოყვანას! ზოგჯერ ექვსსამდე სოფელია ერთს მაზრაში და ბებია რომელ ერთს გასწვდება. სანამ ერთს სოფელში მშობიარეს მიეშველება, შესაძლებელია მეორე მხრიდამ მოსულმა ბებიას შინ ველარ მიუსწროს. გარდა მაგისა, ხშირად გაჭირებულს მშობიარესთან მისული ბებია ვერ გაჰბედავს მაშის ხმარებას, რადგან, თუ არ ექიმის თანადასწრებით, კანონით აღკრძალული აქვს მაშის ხმარება, და ამიტომაც ეს მაზრის ბებიები ბევრს ვერას შველიან გაჭირებულს. ამ ცოტა ხანს ქართლში ამ გვარი მაგალითი მოხდა: ერთს დურგალს სოფელში გაჭირებული მშობიარე ჰყავდა. მიიწვია ბებია, ბებიამ გასინჯა მშობიარე და სთქვა, რომ მაშის ხმარება უშველის ამასაო, მაგრამ ბებიას მაშა არა ჰქონდა და მშობიარე სიკვდილს ვერ გადაარჩინა. გამწარებულმა დურგალმა წამოიძახა: „თუ-კი მე, უბრალო ხელოსანს, მაქვს ყველა ჩემის ხელობის იარაღი, განა თქვენ-კი არ უნდა იქონიოთ თქვენის ხელობის საჭირო იარაღი, მაშინ-როდესაც მშობიარის სიცოცხლე თქვენზეა დამოკიდებულიო?!" თუ ამ ბებიამ იცოდა ქართული და გაიგო ამ ხელოსნის სიტყვები, რა ნაირად უნდა შეწუხებულიყო!

მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ თუ მაზრის ბებიას ყველა მიიწვევს, ერთი ათასგან ხომ ვერ გასწვდება. ხოლო თუ იმ დროს მიიწვევენ, როდესაც მშობიარე შინაურ ბებიებისაგან ნაწვალებია, მაშინ ველარც უშველის რასმეს ეს მაზრის ბებია, რადგან მაშის ხმარების ნება აღკრძალული აქვს.

იმათგანაც ვერა ეხედავთ სარგებლობას, რომელნიც საბებიო ინსტიტუტში ათავებენ მეორე ხარისხის ბებიებად, ე. ი. რომელნიც ნაკლებად სწავლობენ და მხოლოდ სოფლის ბებიობის უფლება ეძლევათ. ესენი, არა თუ პატარა სოფლებში, დიდს სოფლებშიაც არა სჩანან და თუნდ მოიწადინონ ხელობაზედ დადგომა, მაინც ფეხს აგრე ადვილად ვერ მოიკიდებენ, რადგან გლეხის ოჯახი ბებიას ისე უყურებს, როგორც თავის ტოლს, თავის ოჯახში დამხმარებელს. მშობიარეს სახლში ბებია კიდეც მუშაობს და სახლსაც უძღვება. ამიტომ საჭიროა ბებია იყოს იმათგანი ვინმე, იმათის სოფლისა, იმათი კარის მეზობელი. ყველამ, ვინც ჰფიქრობს ხალხის ჯან-მრთელობისათვის, აუცილებლად უნდა მიაქციოს საბებიო ინსტიტუტის მთავრობის ყურადღება, იმას რომ საქმე სხვაფრივ მოეწყოს, რათა ამ დაწესებულებამ მეტი სარგებლობა მოუტანოს ჩვენს ხალხს. არც ძნელია ასე საქმის მოწყობა. პეტერბურგში, ორმოც-და-ათის წლის წინად, დააწესეს საბებიო ინსტიტუტში (Надеждинское Родовспомогательное Заведенiе) 20 ვაკანსია საკუთრივ სოფლელ დედაკაცებისათვის და მასუკან თანდათან ვაკანსიის რიცხვმა იმატა, სანამ ერობა (земство) შემოვიდოდა. მერე ერობამ იკისრა ამ საქმის ხელმძღვანელობა და ყოველ მოდიდო სოფლიდგან ჰგზავნიდა თავის ხარჯით სოფლის დედაკაცებს სასწავლებლად პეტერბურგის საბებიო ინსტიტუტში. ჯერ პირველად სამი წელიწადი უნდებოდა, რომ სოფლელ დედაკაცისთვის ესწავლებინათ ბებიობა, და, რადგან სოფლელები ძნელად შორდებოდნენ თავიანთს კერასა და საზოგადოდ ვერა სძლებდნენ ასე ხანგრძლივ თავიანთ სოფელ გარედ, ისე მოაწყეს საქმე ეხლა, რომ ერთს წელიწადში სოფლელი დედაკაცი ასწრობს იმის სწავლას, რაც აუცილებლად საჭიროა სოფელში: არა თუ მშობიარის შველას, ყვავილის აცრასაცა და სუბუქ ავადმყოფების წამლობასაც, უმეტესად ყმაწვილებისას. პეტერბურგის საბებიო ინსტიტუტმა დაგვიმტკიცა, რომ ამ გვარად საქმის წაყვანა შესაძლოაც არის და ხალხისთვისაც დიდად სასარგებლოა. ჩვენშიაც რომ მოვაწყოთ ამ გვარად საქმე, მაშინ ჩვენი საბებიო ინსტიტუტი დიდს სარგებლობას მოუტანს ქვეყანას. მართალია, ერობა ჯერ არ არის ჩვენში შემოღებული, მაგრამ თუ საბებიო ინსტიტუტის მთავრობა გულით მოეკიდება ამ საქმეს და გასაგების ენით მოიწადინებს ცოდნის გარდაცემას, მსმენელების შოვნა ადვილი იქნება თვით მაზრის ბებიის იმ ჯამაგირით, რომელიც უსარგებლოდ იხარჯება დღეს. იმ ხარჯით ოთხიხუთი სოფლელი დედაკაცი ადვილად ისწავლის ტფილისში ბებიობას და ნასწავლი წავა სოფლებში. ეგეც რომ არ იყოს, რა სამძიმო იქნება, რომ საერო ფულიდამ ყოველთვის ერთის წლის განმავლობაში შეიდი-რვა სული შეინახონ და ეს სასარგებლო ხელობა ასწავლონ. არა თუ ჩვენმა ახალგაზდა ექიმებმა, რომელნიც ახლა კარგა ბლომად არიან საქართველოში, თვით მთელმა ჩვენმა საზოგადოებამ რომ თანაგრძნობა და გულ-შემატკიერობა გაუწიოს ჩვენგან წარმოთქმულს აზრს, იმედია, ეს აზრი არ დარჩება „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა" და, დღეს თუ არა, ხვალ განხორციელდება ხალხის სადღეგრძელოდ და საბედნიეროდ.

გინმე ქალი

---

# ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. ოქტომბრის დამდეგს ეპინოიზში ძეგლი აუგეს გამბეტას იმ დღის მოსაგონებლად, როცა ეს დიდი პატრიოტი მტრით გარემოცულ პარიჟიდამ აფრინდა ჰაერში სასიარულო ბურთით 1870 წელს და ეპინოიზში ჩამოფრინდა ჯარების შესაკრებად და შემოსეულის მტრის განსადევნელად. ძეგლის აგების დღესასწაულზე დაესწრო გარეშე საქმეთა მინისტრი სპიულერი და სუბსტატს-სეკრეტარი კოლონიებისა ეტიენი. ვიდრე დღესასწაული დაიწყებოდა, მინისტრმა მოინდომა ნახვა იმ სახლისა და კარ-მიდამოსი, სადაც ოდესმე ისე გულ-უხვად და პატივისცემით მიიღო იმ სახლის პატრონმა სპიულერი, როცა გამბეტასთან ერთად გამოვიდა ჰაერში საფრენის ბურთიდამ. დღესასწაულზე პირველი სიტყვა წარმოსთქვა მაზრის მოთავმჯდომარე-მოვაზირემ ლაგაშმა. გარეშე საქმეთა მინისტრმა მესამემ ილაპარაკა. როცა მინისტრი წამოდგა სიტყვის წარმოსათქმელად, დამსწრეთ დაიწყეს ძახილი: „გაუმარჯოს რესპუბლიკას! გაუმარჯოს სპიულერსაო!" მინისტრმა სთქვა: გულის ცემა მომდის, მაგონდება რა, რომ 19 წლის შემდეგ ისევ ეპინოიზში ვარ, იმ თითო-ოროლათა შორის, რომელნიც მოესწრნენ ქვეყნის გაჭირების დღეს. ის დღე მთელს საფრანგეთს დაახსომდა და ღრმად ჩარჩა გულში, იმიტომ-რომ მაშინ ჩაიდინა სასწაული მამულის-მოყვარეობამ, მაშინ შეისხა მან ფრთა და შეაძლებინა ჩვენს სამშობლოს, უეცრად მტრისგან აკლებულს, კვლავ დამდგარიყო ფეხზედ, კვლავ მოეკრიბნა ძალა და დაეხსნა თავისი სახელი სირცხვილისაგან იმ სასტიკს განსაცდელში, რომელშიაც ისე უსამართლოდ ჩაგვაგდო ბედმა.

„თქვენ, უაზის რესპუბლიკელნოვო— განაგრძო მინისტრმა:—ძეგლი აუგეთ სახსოვრად იმ დიდს რესპუბლიკელს, რომელიც იყო განხორციელება საფრანგეთის უოკელის გრძნობისა, უოკელის აზრისა, მისის სამართლიანის გულისწყრომისა, იმ საფრანგეთისა, რომელიც, მართალია, იძლია, მაგრამ გადასწყვიტა ებრძოლნა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე სასტიკად ასეულის ბედის წინააღმდეგ. უოკელივე ეს, ნუ თუ საკმაო არ არის, რომ საჭირო აღარ იყოს წარმოთქმა ისეთის სიტყვისა, რომელიც მუდამ ნაკლების ღირსებისაა, ვიდრე თვით ის დიდებული საქმე, რომლის სადიდებლად წარმოითქმის ხოლმე სიტყვა ხშირი და შესხმა ქებისა? მარტო ერთს კაცს შეეძლო ღირსეულად ელაპარაკა აქ, ამ ადგილას. საჭირო არ არის იმ კაცის დასახელება: მისი სახელი ყველას ენაზე გადგიათ, როგორც სხოვნა გაქვთ მისი გულს ღრმად ჩარჩენილი. ვაი ჩვენდა! ის ცოცხალი აღარ არის და დღეს პირველად არ გვლოვობთ მის უდროოდ გარდაცვალებას. მაგრამ რაოდენად უფრო გულ-დამწყვეტია გლოვა მისი სწორედ აქ, იმ ადგილს, სადაც იწყო მან თავისი სასარგებლო და ნაყოფიერი მოღვაწეობა საფრანგეთის საკეთილდღეოდ... ბევრი ვაება გამოვიარეთ,—კვლავ განაგრძო ორატორმა,—და ბედი სასტიკად მოექცა საფრანგეთს. მაგრამ, ვინც თავის თვალით იხილა აქ დაწყებული საქმე წამებულ საფრანგეთის დიდების კვლავ აღდგენისა, იმას არ დაავიწყდება ჩვენის სამშობლოს პატრიოტული თრთოლვა, გამლიერებული იმ პლებეის ფიცხის გულით, რომელსაც წინა დღით არავინ იცნობდა და რომელიც უცბად შექმნა ღირსი თავის ხელით ეტარებინა თვით გული საფრანგეთისა."

დასასრულ სპიულერმა სთქვა:

„იმ მუხას, რომელზედაც ჩამოუშვა ჭვარში აფრენილი ბურთი, თქვენ „გამბეტას მუხა" უწოდეთ. სად არის ეხლა ის ხე? ის ხე აღარ არის. მუხა მოჰგლიჯა პოლიტიკურმა შურმა და მტრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამ, იმიტომ-რომ „გამზეტას მუსა“ იყო. ჰსწყვლი ამიერიდგან ამ შურსა და მტრობას! მაგრამ, თუ ხე ამოჭკლდიჯეს, სამაგიეროდ კპაინოზის პატრიოტებმა მეგლი აუგეთ იმ კაცს. ქვანი მცენარეზედ მეტს ხანსა სძლებენ, მაგრამ არის ისეთი რამ, რაც უფრო მეტს ხანსა სძლებს, ვიდრე ქვა და მცენარენი. ეს გახლავთ ხსოვნა იმათი, ვინც კეთილად და პატიოსნად ემსახურა თავის საქმეს, თავის სამშობლოს“.

# დეპეშა

13 ოქტომბერი

ვენა. ლლოიდის გემი „Erghergod Ferdinand“-ი მშვიდობით გადარჩენილი იპოვეს.

ბერლინი. კერძოდ მოდის ამბავი სოფიიდამ, რომ იქ საზოგადოდ არ ესიამოვნათ ფულის სესხების გარემოება, უფრო იმიტომ რომ ხმა არის, ვითომ სესხის გირაოთ მიეცა ბოლგარიის რკინის გზები. იუწყებიან აგრეთვე, რომ იმ პურის გასყიდვისაგან, რომელიც მთავრობამ აიღო, ათის თავის ხარჯის კანონისამებრ, ბევრად ნაკლები შემოუვა ხაზინას, ვიდრე მთავრობამ იანგარიშა.

პეტერბურგის ბირჟა, 10 ოქტომ.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7 73 | — „ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | 154¹/₄ | — „ | — „ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | 1 12 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — „ | — „ | 255 |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 233¹/₄ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საერთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდრო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპთ (1889) წელიწადია ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამის ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადები—6.

ოქტომბერი 31 დღით არის

14 დღე შაბათი. მოწ. ზაზარისა და სხ. კათოლ. კალისტასი. სომეხ. წმ. მესროფისა, ელიშესი, მოსესი—გრამატიკოსისა, დავითისა—დაუძლეველ ფილოსოფოსისა და სხვათა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—26, ჩადის 5—2. მთვარე 3 დღისაა.

15 დღე კვირა. ღირსისა მამისა ექვთიმესი. კათოლ. წმ. იადვიგასი. სომეხ. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მაჰმად. მე-3 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1307 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—27, ჩადის 5—1. მთვარე 4 დღისაა.

16 დღე ორშაბათი, წმ. მოწ. ლონგილოს ასისთავისა. კათოლ. ფლორენტინასი. სომეხ. წმ. გრიგოლისა და სხ. მაჰმად. მე-4 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1307 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—28, ჩადის 5—0. მთვარე 5 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3¹/₂ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3¹/₂ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | „ |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | „ | |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

იბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.


# განცხადებანი

ახლად გამართული ფოტოგრაფია
ა. ს. როინაშვილისა

მოთავსებულია ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში.

მიიღებს ყოველ გვარს ფოტოგრაფიულს საქმეებს იაფისა და ზომიერის ფასით.

იქვე ისყიდება სხვა-და-სხვა გვარი შესანიშნავი სურათები საქართველოსი და მთელის კავკასიისა.

(20—8)

დაიბეჭდა და ისყიდება
„სახელმძღვანელო საღმრთო სჯულის სასწავლებლად“,

შედგენილი საერო, სამრევლო და სასულიერო სასწავლებელთ მოსამზადებელ კლასთათვის მღ. ნ. ყუბანეიშვილის მიერ. ფასი 70 კაპ.

წიგნი შეიცავს პირველს ორს ნაწილში ძველისა და ახალის აღთქმის ისტორიას, ლოცვებს, სიმბოლო სარწმუნოებას, ცხრა ნეტარებაზე სწავლას და ათ მცნებას ახსნით. მესამე ნაწილში—დაწყებით ცნობებს საეკლესიო ისტორიიდგან, წმ. მოწამეთა და მამათა ცხოვრებას: წმ. გიორგის, წმ. ბარბარეს, ნიკოლოოზ, მირონ ლიკიისა, ვასილ დიდისას, გრიგოლ ღვთის-მეტყველისას, იოანე ოქროპირისას და სხ. ქრისტიანობის გავრცელება რუსეთში და საქართველოში, წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი, 13 მამანი საქართველოში; მეოთხე ნაწილში—სწავლა ღვთისმსახურებაზე.

წიგნის დაბარება შეიძლება: Кутаисъ, Священику Н. Кубанейшвили, близь дух. училища.

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბედი ქუდიანთ, მოთხრობა ნ. ლომოურისა. . . | „ | 15 |
| Я Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того же автора „Русское Слово“. . | „ | 50 |

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების
წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| კაკუ-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა . . | „ | 30 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა, იმავ საზოგადოების გამოცემა . . | „ | 20 |
| ყდით . . . . . . | „ | 70 |
| ჩანგი, კრებული ლექსთა და სხვა . . . . . . | „ | 70 |
| ანუკა ბატონიშვილი, რჩეულოვისა. . . . | „ | 20 |
| ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საუმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . | „ | 20 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა . . . . | „ | 50 |
| მცხეთისტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა. . . . . . | „ | 25 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| დედაკაცის ხვედრი ნაშბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ . | „ | 15 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ყიფშიძის გამოც. . . | 3 | „ |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | „ | 50 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეგ. გაბაშვილისა . . | „ | 10 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გუნისაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 20 |
| ვაზის ობი . . . . . . | „ | 10 |

# კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Караванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვეით . . . | 10 მ.—კ | 6 | თთვეით . . . | 6 მ.—კ |
| 11 | „ . . . | 9 „ 50„ | 5 | » . . . . | 5 „ 25„ |
| 10 | „ . . . | 8 „ 75„ | 4 | » . . . . | 4 „ 75„ |
| 9 | „ . . . | 8 „ —„ | 3 | » . . . . | 3 „ 50„ |
| 8 | „ . . . | 7 „ 25„ | 2 | » . . . . | 2 „ 50„ |
| 7 | „ . . . | 6 „ 50„ | 1 | » . . . . | 1 „ 75„ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგი თთვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკის სახლში.

# დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 112.


Дов. ценз. Тифлисъ 13-го Октября, 1889 года, სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე